ოქმი:ო37. 3723030001
თარიღი:30/01/2023

ოქმი N 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2023 წელი, 24 იანვარი

ქ. ოზურგეთი

11.00 -14 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილეები: ტ. არეშიძე და ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, გ. ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, თ. გოგუაძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ბ. კილაძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მერის მოადგილე-ნ. გოლიაძე,

მუნიცპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 36-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის დღის წესრიგის გაცნობამდე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრმა ქ. ხომერიკმა მიმართა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“, როგორც „ომის პარტიის“ წარმომადგენლებს, რომელსაც სურს ქვეყანაში ომის გაჩაღება და საჩუქრად, სიმბოლურად გადასცა სათამაშო ტანკი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ და წევრმა ბ. კილაძემ პასუხად განაცხადეს, რომ ხელისუფლებას უკრაინისათვის სამაშველო ტექნიკის გადაცემა მაინც გაებედაო, ამ განცხადებებს მოჰყვა ურთიერთ დაპირისპირება და ხმაური, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ 20 წუთით გადადო საკრებულოს სხდომა. იგი განახლდა 12.00 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ,

განაცხადა, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ კვლავ არ უღალატა თავის ჩვევას, შეეცადა სხდომის ჩაშლას და საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ ითხოვა შემდგომი დამუშავების მიზნით მე-7 საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება, საკითხი მოიხსნა განხილვიდან ღია კენჭისყრით. ამ ცვლილებით, 36-ხმით დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით, 5- წინაღმდეგი.

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოზრაობის“ წევრმა თ. ნიკოლაშვილმა დასვა შეკითხვა-როგორ მოახერხა მუნიციპალიტეტის მერიამ გასული წლის ბიუჯეტიდა 18 მილიონი ლარის ოდენობით ნაშთის მოგროვება მაშინ, როცა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ამდენი სოციალურად შეჭივრებული ადამიანია? ამასთან საკრებულომ და მერიამ ორჯერ გაზარდეს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების ხელფასები.

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ქვეყანაში არის ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, მშვიდობა და სტაბილურობა, ამიტომ ეს იძლევა საშუალებას გაიზარდოს ხელფასები საჯარო სამსახურში, ხელფასები ეზრდება ჯარს, პოლიციას, ექიმებს და ყველა სფეროს, ამდენად იაფფასიანი სპეკულაცია ვერ გადაფარავს ამ პოზიტივს. მოსახლეობას დაპირდნენ, რომ ბიუჯეტს მნიშვნელოვნად გაზრდიდნენ, რაც განხორციელდა და 2022 წელს ბიუჯეტი 40-დან გაიზარდა 70 მილიონ ლარამდე, წელსაც იქნება სერიოზული ზრდა, აღნიშნული ცვლილებით ბიუჯეტი დაზუსტდება 82 მილიონ ლარამდე.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, ბიუჯეტი იზრდება 28 მილიონი ლარით, შემოსავლები და გადასახდელები დაბალანსებულია, პროექტი პასუხობს არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებს. კოლეგებს მოუწოდა პროექტის მხარდაჭერისაკენ.

2.2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნათია გოლიაძე

მაიზერ ცელაძე

ქეთევან ხომერიკი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36 ხმით

თანამომხსენებელ ნ. გოლიაძის წინადადებით პროექტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის “ა“ ქვეპუნქტიდან ამოღებული იქნა სიტყვა „ოჯახის“.

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა მადლობა გადაუხადა მერიას პროექტში მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებისათვის, იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოება შესაბამისად შეაფასებს ამ ფაქტს,

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ პროექტი წარმოდგენილი იქნა კვალიფიციურად, ისაუბრა წესის სტრუქტურაზე, ასევე ბიუჯეტის სოციალური პროგრამების დაფინანსების კუთხით შეტანილ სერიოზულ ცვლილებებზეც, რომელებიც ასე საჭიროა მოსახლეობისათვის.

საკრებულოს წევრმა-ხ. ცერცვძემ განაცხადა, რომ მართლაც სერიოზული პროექტია. საყურადღებოა 18 წლამდე ბენეფიციარების დაფინანსება, რომელიც ზრდის ტენდენციით უნდა ხასიათდებოდეს.

3.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26 ხმით

ამ საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრები სათამაშებით იმიტომ დარბოდნენ, ხელფასების მატება მიეჩქმალათ მოსახლეობის გაღარიბების ფონზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა გაიზარდა ხელფასი 3-ათასი ლარიდან 5-ათასამდე, ეს უნდა იცოდეს მოსახლეობამ. ამ განცხადებას მოჰყვა ხმაური, ურთიერთდაპირისპირება, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ სხდომის წამყვანის ადგილის დატოვებით შეწყვიტა სხდომა 30 წუთით და სხდომის დარბაზში წესრიგის დამყარების მიზნით გამოიძახა დაცვის პოლიცია.

სხდომა განახლდა 13.00 საათზე, ხელახალი რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 -მა წევრმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“წევრებმა დატოვეს სხდომა.

4.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე -

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

პროექტის წარმოდგენამდე თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ პადიკალური ოპოზიცია ცდილობს საკრებულოს სხდომების ჩაშლას, საკითხავია დარჩათ თუ არა რაიმე კიდევ უკადრებელი, გაჩაღებული აქვთ შიდაპარტიული ომი, რომლის გადაფარვასაც ასეთი ქცევებით ცდილობენ, ცხადია ყველაფერს საზოგადოება შესაბამისად შეაფასებს.

5.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26 ხმით

საკითხის წარმოდგენამდე თანამომხსნებელმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ სიტუაცია რომელიც შექმნა რადიკალურმა ოპოზიციამ აძნელებს მნისვნელოვანი საკითხების განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას, ალბათ ასეთი საქციელით ცდილობენ მუნიციპალიტეტის მიღწევების გადაფარვას.

6.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26 ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდში ჰქონდა რეკომენდაცია კოეფიციენტის გაზრდის თაობაზე, რაც არაა გათვალისწინებული. უპასუხეს, რომ ამ ეტაპზე არ განხორციელდა ზრდა, მომავალში ალბათ გაიზრდება.

1.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის I კვარტლის

სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26 ხმით

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე წარწერის ,,მამული, ენა, სარწმუნოება“ დაბრუნებასთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის წარდგენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პეტიციაზე რეაგირების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია საკრებულომ მიიღო ცნობად.

10. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წარმომადგენელმა გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ საზოგადოება შეაფასებს ოპოზიციის დღევანდელ საქციელს, „ომის პარტიის“ სახელწოდებას ამართლებენ. მათი ლიდერი სააკაშვილი საავადმყოფოს პალატაში ვერ სძლებს, მაშინ, როცა მისი მმართველობის დროს პატიმრები კამერაში ერთმანეთს ასხდნენ, პატიმრებზე მიცვალებულებს აკრავდნენ და სხვა უმსგავსეობებს სჩადიოდნენ. რადიკალური ოპოზიცია ცდილობს პროვაკატორული გამოხდომებით გადაფაროს ქვეყნის მიღწევები. აღნიშნა უცხოურ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზეც, ტყული უწოდა იმ აზრს, რომ საქართველო ხელს უწყობს რუსეთს სანქციების დაძლევაში.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ რადიკალური ოზიცია აგრძელებს დესტრუქციულ ქმედებებს, ორიენტირებული არიან ამგვარი საქციელით გადაფარონ მუნიციპალიტეტის მიღწევები, პარტიაში განხეთქილება აქვთ, ცდილობენ დაიბრუნონ ხელისუფლება და გააგრძელონ საზოგადოებაზე ძალადობა, ეს გაღარიბებული პოლიტიკოსების ქცევაა, მანაც გაიზიარა გ. ჩავლეშვილის მოსაზრება უცხოურ მედიაში გვრცელებულ ინფორმაციაზე. აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში დაბრუნება სურს ისეთ დამნაშავეებს როგორიცაა მერაბიშვილი და კეზერაშვილი, პარტია გაყოფილი აქვთ ლ. ხაბეიშვილისა და ნ. მელიას მომხრეებად, ხაბეიშვილის მხარდამჭერია თ. ნიკოლაშვილი, მელიას-დ. მჟავანაძე და ერთმანეთის ლანძღვით არიან დაკავებული. შემდეგ ისაუბრა მუნიციპალიტეტის მიღწევებზე, რომელშიც მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს და პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქარტველოს“, მუნიციპალიტეტის მერს ა. თალაკვაძეს, ხაზი გაუსვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 67 მილიონ ლარამდე ზრდას, მთლიან გაზიფიკაციას, განახლებულ ქ. ოზურგეთს, რეაბილიტირებულ გზებს, გაიაფებულ მედიკამენტებს და ა.შ.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი